# საქართველოს მთავრობის

## განკარგულება №1812

## 2016 წლის 9 სექტემბერი

## ქ. თბილისი

### შპს „სპეცინჟმშენის“ ხე-ტყით უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-5 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დართლოში რეკრეაციულ-ტურისტული და კულტურული მნიშვნელობის პროექტის – „დართლოს საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის პროექტის“ დროულად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შპს „სპეცინჟმშენის“ (ს/კ: №206262578) ხე-ტყით უზრუნველსაყოფად, ახმეტის მუნიციპალიტეტმა განახორციელოს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის №19 კვარტალში 70 (სამოცდაათი) $მ^3$ (ფიჭვის მრგვალი მორი (დიამეტრი 16, 20, 25)) ხე-ტყის მოცულობის ტყეკაფების გამოყოფა.

2. ახმეტის მუნიციპალიტეტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხე-ტყის გაცემა უზრუნველყოს „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის შესაბამისად.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**